ცვლილება საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებაში (იურიდიული პირებისთვის)

1. **იურიდიული პირების საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების 14.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„14.2 კლიენტი, თანახმაა მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით მიიღოს ნებისმიერი მათ შორის სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია. კლიენტი ვალდებულია იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში აღარ ექნება სურვილი ინფორმაციის მიღების, წერილობით აცნობოს ბანკს და მოითხოვოს აღნიშნულის შეწყვეტა ან ბანკის მიერ გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების პირობების შესაბამისად (შეტყობინების გამორთვის ფუნქციის გააქტიურება), უარი თქვას ინფორმაციის მიღებაზე. წინამდებარე პუნქტის შესაბამისად კლიენტის მიერ ინფორმაციის მიღების შეწყვეტა, არ ვრცელდება კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულებასთან, სახელშეკრულებო/მომსახურების პირობების ბანკის მიერ ცვლილებასთან, ხელშეკრულების შეწყვეტასთან ან/და სხვა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან, ასევე კლიენტის მიერ გააქტიურებულ საბანკო ოპერაციებზე SMS მომსახურებასთან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი წერილობით შეწყვიტავს SMS მომსახურებას) დაკავშირებით ბანკის მიერ გაგზავნილ/მიღებულ შეტყობინებებზე/ინფორმაციაზე;“